საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს
შპს ,,ალფა"-ს დირექტორის, ოთარ იველაშვილის

განცხადება

შპს ,,ალფა"-ს სამეწარმეო საქმიანობის სახეს წარმოადგენს მეორადი ზეთის გადამუშავება(ნარჩენების აღდგენა). საწარმოს ექსპლუატაციის უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-73, 29/01/2020 -ით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების საფუძველზე.

აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში საწარმოს მიერ საწვავად გამოყენებული იქნება ბუნებრივი აირი. საწვავის აღნიშნული სახის გამოყენების შესაძლებლობა დამყარებული იყო იმ ინფორმაციაზე, რომ უახლოეს ხანებში მოხდებოდა რაიონის გაზიფიცირება. იმასთან დაკავშირებით, რომ გაზიფიცირების პროცესი ჭიანურდება, რაც წარმოადგენს საწარმოს ფუნქციონირებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორს, ჩვენს მიერ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლის შესახებ, კერძოდ, ბუნებრივი აირის ჩანაცვლების თხევადი აირით, რისთვისაც საწარმო გეგმავს 3,5 ტონა ტევადობის თხევადი აირის მიწისზედა საცავის მოწყობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ სკრინინგის განცხადებას სკრინინგის პროცედურების გასავლელად და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

ამასთან, გთხოვთ შეწყვიტოთ 07.04. 2020, №5775 წერილით დაწყებული საქმის წარმოება.

დანართი:
1.შპს ,,ალფა"-ს სკრინინგის ანგარიში - 1ეგზ, ნაბეჭდი ვერსია;
2.CD – 1 ცალი.

პატივისცემით,

დირექტორი, /ოთარ იველაშვილი/
4.05.2020

საკონტაქტო ინფორმაცია:
იურიდიული მისამართი: გარდაბნის მუნიციპალიტეტი, სოფ. გამარჯვება, შპს ,,ალფა"
ტელ. 5 95 71 37 37

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 6887
06" 05 2020
+ 02 +